



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მგალობლიშვილი გრიგოლ (გეგა) ზურაბის ძე

მგალობლიშვილი გრიგოლ (გეგა) ზურაბის ძე (დ. 7. X. 1973, თბილისი), პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. საქართველოს პრემიერ-მინისტრი (2008–09). დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი; 1992–93 სწავლობდა სტამბოლის (თურქეთი) უნ-ტში. 1998 მიიღო ნატოს თავდაცვის კოლეჯის დიპლომი (რომი). 2002–03 გაიარა სპეციალიზებული დიპლომატიური კურსი ოქსფორდის (დიდი ბრიტანეთი) უნ-ტში; 2008 – უსაფრთხოების საკითხებზე უმაღლესი კურსები ჰარვარდის უნ-ტის ჯ. კენედის სახ. სახელმწ. მმართველობის სკოლაში (აშშ).

1996-იდან მუშაობდა საქართვე. საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობებზე. იყო თურქეთის რესპ. საქართვე. საელჩოს I მდივანი, შემდეგ მრჩეველი (1998–2002), საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ვეროპული დეპარტამენტის მრჩეველი, აშშ-ის, კანადისა და ლათინური ამერიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ვეროპულ საქმეთა და ვეროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი (2002–04). 2004-იდან იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში, ალბანეთსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში, 2009–13 – საქართვე. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნატოში და საქართვე. მისიის ხელმძღვანელი, 2014–15 – ეროვნ. თავდაცვის უნ-ტის მონვეული პროფესორი (ვაშინგტონი, აშშ). 2015-იდან არის ეროვნული თავდაცვის კოლეჯის პროფესორი (აბუ-დაბი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები).

ლიტ.: ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ზ., დამოუკიდებელი საქართველოს ელჩები, 1991–2021, ნაწ. 1, თბ., 2021.
